



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუნში

მუნში (არაბ. monsi – მწერალი, მდივანი), საბუთების შემდგენი, მწერალი. ტერმინს ისლამურ ქვეყნებში სახელმწიფო კანცელარიის ოქმის მწერლის აღმნიშვნელად იყენებდნენ. სეფიანურ ირანში **მ**-ის, ანუ სახელმწიფო მწერლის დაქვემდებარებაში იყო 27 მწერალი, რ-საც ემორჩილებოდნენ პროვინციების **მ**-ები. **მ**-ის ხელში იყო შაჰის კორესპონდენციების ნაწილი (ფარვანა, ჯავაბნამე, მისალი). პროვინციების **მ**-ებს მთავარი **მ**-ისათვის უნდა მიეწოდებინათ ადგილ. ცნობები და საქმიანობის ანგარიშები. ასეთი მოვალეობის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო **მ**. საქართველოშიც. იგი გვიანფეოდალურ საქართველოში მწერლის ფუნქციას ასრულებდა. საქართველოდან ირანში წერილები იგზავნებოდა როგორც შაჰის საპასუხოდ, ისე იმდროინდელი ამბების გადმოსაცემად. ასეთ წერილებს სპარსულის მცოდნე **მ**. ან ვაყანავისი (მდივანი) წერდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, **მ**-ის თანამდებობა, ვეზირთან და მუსტოფთან ერთად, ქართლში დაწესდა როსტომ მეფის (1633–58) დროს. მისივე სიტყვით, „მუნშობა ყიზილბაშური რიგისაა“. **მ**-ის სამოხელეო სახელი ასევე დამონმებულია „დასტურლამალში“, თუმცა თითქმის ყველა ხელნაწერში ეს ტერმინი დამახინჯებულად „მუშის“ ფორმით გვხვდება. „დასტურლამალის“ 1729-ის ხელნაწერში ვეზირი, მუსტოფი და **მ**. ერთ საგნობრივ რიგშია მითითებული. ეს პირები ირანის სამეთვალყურეო აპარატს შეადგენდნენ და მათი მოვალეობა იყო ქართლის ვალის, როგორც შაჰის ვასალის მეთვალყურეობა.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1958; ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი), თბ., 2017.

